


წელიწადი
პირველი



7 აპრილს
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოლის ხუთზაბათობით

ხელის მოწმარა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაფლაოს წყმოდ. №18 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთსა და გაზეთსა და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბუჭდათ გამოცემულ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. ცხოვრება და კანონი, წერილი მეოთხე. — III. საქართველოს მატეანე. — III. თამარ-მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში, ლექსი ქსნისხეველისა. — IV. საზოლიტიკო მიმოხილვა: ოსმალეთი, ვერმანია. — V. მუშის სიმღერა, ლექსი ს. ოქრიაშვილისა. — VI. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის, იტალია. — VII. უკანასკნელი გასაკვეთი, ნაამბობი ზატარა ელზასელისა, მოთხ. ალფონს დოდესი. — VIII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა. — X. გაზეთებიდან ამოკრეფილი ამბები. — XI. რედაქციისაგან.

ცხოვრება და კანონი.

მეოთხე წერილის შემდეგ*)

ადგილობრივი თვითმმართველობა (Мѣстное самоуправление) და უმაღლესი მთავრობა (верховное правление) არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილები არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორნივე მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ. შემოდ მოვიხსენიებთ, რომ მხელია ამათ შუა ნამდვილის სამძღვარის დადება თუ ეგვიფერში არა, ზოგიერთში მაინცა. თუცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსა და მეორესა და ისეთი თვალ-საჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მოხმებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს ან ერთი რის მოღვაწე და ზატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითვეულისა შემოდ გაკვრით მოვიხსენიებთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის

უკედ ცნობისათვისა ცოტაა. ამისათვის გვსურს ამ კამად ეგ თვისება ცოტადნად დაწვრილებით აღვნიშნოთ. ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარ-ტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შედგარი, მაინც, ადგილობრივის სხვა და სხვაობისაგამო, ბევრს სხვა და სხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას თავისი საკუთარი ჭირი და ღხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის ზირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეყნადამს მისი სატკივარი გაუკოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტეუარად, ზირ-უთუნელად, ზედ მიწვევით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი აუ-კარგიანობა, რომ საცა შესაძლოა მუელა, უშველას, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თვითონ, სხვის დაუხმარებლად ვერ შეუძლიან ვერც თვალთ მიაწვდინოს დასანახავად ეგვიფან, ვერც ურთი სასმენლად და ვერც ხელი საშველად. ცხადია, რომ მან უნდა იეოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ-მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. ზირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ-რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტუილია, ჩემთვის ისე გული არ შეჭსტკივა, როგორც მე თვითონ; სხვა ჩემ აუ-კარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტკობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუკლის, ჩემს

*) დასაწყისი ამ წერილისა „ივერიის“ № 4-შია.

ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის დღეში არ ეცოდინება. ეს ეველგან ესე ჰსცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ეველგან დაწუნებულ იქნა და უარ-ყოფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალ-უურეთ, მოხელეთ და ადგილობრივთა საქმეთა გამკეთ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვით არება, უკეთ იციან თვისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა ზატრონობა. ამ შემთხვევაში ერთის მხრით – ეოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიხწეულია, მეორეს მხრით — უმაღლესის მთავრობის საერთო მხრუნველობა ერთნაირის გულის ტკივილით, ერთნაირის მადლით ეოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას სამხლვარო უმაღლესის მთავრობისა და თვით-მმართველობის შუა. უმაღლესიმთავრობა, რასახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მხრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი, იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ეოველს ნაწილს, არამედ ეოველს ქვემეორემს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაც გვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონ-მდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (ემეოსავალ-გასავალის) მოძრობასა და საყოველთაო მხედრობის განწობილებასა. ესე ეოველი ხელმეუვალი ეკუთვნილება უმაღლესის მთავრობისა, თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ეოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განუგებელია, დაწეობილი და განწესებული. თვით-მმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი. რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვით-მმართველობის უცილო ეკუთვნილება. თვით მმართველობა თვის ადგილას ეოველის შინაურის საქმის გამკებელია და მეოხე; ეოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმასწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რივისა და წესის დამწეობია, მისის ზნეობის, ზატვიის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მხრუნელია. ეოველივე ამის მოქმედი იმოდენად, რამოდენადაც ეოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ ჰსჩანს, რომ თვით-მმართველობა ერთის მხრით ადგილობრივის საქმეთა

დამწეობია და გამკრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელის-უფალი *) (непольнительный) ორდანია.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორდანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე და უმაღლესის მთავრობის ორდანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

ცხადია, რომ როგორც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა თვით-მწეობელობითი, მონარნიული-წარმომადგენელობითი, თუ რესპუბლიკის სახისა — ერთშია, მეორეშია და მესამეშია თვით-მმართველობა მშვიდობიანად მოეწეობა, საზოგადოებრივებას არამც თუ ხელს შეუძლის, არამედ ხელს მოუძართავს, რადგანაც თვით-ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულება და ამსთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ეოველ ეკუთხემდე მიწვდენილი.

რუსეთშია მაც თვით-მმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სინარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვით-მმართველობის უფლება, მერე მანრასა და გუბერნიასა ერთად (земство) და ამ სახით ეოველს განყოფილებაში დაიდვინა თვით-მმართველობითი გამკებობა ადგილობრივთა საქმეთა. იგი დიდხანსა მოქმედებს ინგლისშია, საცა მონარნიული-წარმომადგენელობითის სახის მთავრობაა და ჩრდილო-ამერიკაშია, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვით-მმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვ და სხვა გვარობაზედ არ არის დამოკიდებული; რომ იგი ეოველ გვარს უმაღლეს მთავრობას უხდება.

თვით-მმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწეობილი და დარგული. ამ მოწეობაში არც ერთი მისი არსებითი ეკუთვნილება დავიწეებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვას. თუ ეს სიფთხილე არ იხმარა აღამიანმა თვით-მმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქმნება, ვიდრე სახრავი.

უმთავრესნი ეკუთვნილებანი თვით-მმართველობისანი არიან: 1) ადგილობრივის საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამასე დ არის დამყარებული მცხოვრებთა ზატვიის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელმეუწეებლობა.

*) „ხელის-უფლება“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენის დასტულაში. აქედამ არის წარმოდგარი სიტყვა „მოხელე“. თვითონ დასტულაში მეფის და ღვიანბნის განხმების აღმასრულებელი კაცნი საერთოდ „ხელის-უფალთ“ წოდებულნი არიან.

2) უმაღლესის მთავრობისაგან განწყობების ხარჯისა, — ბეჯარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიება რომ ეოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლოდ გადაუხადოს სახელმწიფოსთვის შესახვედრი მოვალეობა; 3) ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამკეობა. 4) სხვა და სხვა წესისა და რივის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რივი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს; 5) ადგილობრივის საზოგადოების ჰირველ დაწეებითის სწავლის მოწეობა და თავისუფალი გამკეობა; 6) ადგილობრივის საზოგადოებისათვის მწრუნველობა და ღონისძიების მოხმარება, 7) ადგილობრივის საზოგადოების საწრდოებისათვის თავდარივის დაჭერა და ღონისძიების მოპეობა; 8) ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამკეობა. 9) უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომელობა ეოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

უმთავრესნი საფუძველნი თვით-მმართველობისანი არიან: 1) ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ეოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული წლოვანია; მამასადაძე ეოველს მოვალეობაშიაც ეოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას; 2) ადგილობრივის სამმართველოს ხელქვეით უნდა იყუნენ ეოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში ჰსცხოვრობს., აქ როგორც ჰირველს შემთხვევაში, წოდებთა შორის განყოფილება და ხარინების გადაება მავნებელია და თვით-მმართველობის ბუნების წინააღმდეგია. 3) ადგილობრივი მოსამართლენი აგრეთვე მოხელენიცა უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა, 4) ეოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი ზასუნის მეგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო, სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.

ხვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს დაინახავს, რომ იგი ცოტად თუ ბევრად თვით-მმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვით-მმართველობა ეგ არის, მამ ეოველის მხრით და ეოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მავ თვით-მმართველობამ არ ააუვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთ-ხმად რად უჩივისო?

ხვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტევას შესაფერი ზასუნი მივსცეთ შემდეგს წერილში.

საქართველოს მატთანე

ამიერ და იმიერ კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი გვარტომობისა და კვალად. — ჰეტერბურღში დაბეჭდილა ამიერ და იმიერ კავკასიის ეთნოლოგიული რუკა, რომელშიაც მოყვანილია კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი გვარტომობისა კვალბაზედ. შემადგენელი იმა რუკისა უფ. რუტტინი გვიქადის, რომ მასში მოყვანილი ცნობანი სულ ბოლონდელის დროისანი არიანო. ამ რუკაში ესეა დაყოფილი კავკასიის მცხოვრებნი გვარტომობის მიხედვითა:

I ქართველთა ტომისანი:

1) ქართველნი	— — —	375,452.
2) იმერნი	— — —	264,211.
3) გურულნი	— — —	59,432.
4) მენგრულნი	— — —	205,212.
5) ფშავნი	— — —	12,490.
6) ხევსურნი	— — —	5,050.
7) თუშნი	— — —	5,210.
8) სვანნი	— — —	9,110.

II ირანის ტომისანი:

1) სომეხნი	— — —	515,811.
2) ოსნი	— — —	75,604.
3) არაბნი	— — —	9,881.
4) თათნი	— — —	64,656.
5) თალიშნი	— — —	51,221.

III სლავიანების ტომისანი:

1) ველიკორუსნი	— — —	676,595,
2) მალორუსნი	— — —	346,928.

IV ლიტველთა ტომისანი:

ლატიშნი	— — —	118.
---------	-------	------

V ბერძენთ-რომანელთა ტომისანი:

ბერძენები	— — —	10,517.
-----------	-------	---------

VI გერმანიელთა ტომისანი:

1) ნემენცი	— — —	9,475.
2) შოტლანდელნი	— — —	500.
3) სწარსელნი	— — —	782.

VII კავკასია-კასპიის გუნდისანი (группа).

1) ავარელნი	— — —	116,313.
2) ეუაულნი (ანდიელნი)	—	3,693.
3) ქირდნი (ყარატელნი)	—	4,952.
4) ახვანნი	— — —	2,142.
5) ბოღულალნი	— — —	1,989.
6) იდერნი (თინდისელნი)	—	2,515.
7) ჭამალალნი	— — —	2,418.

8) სვარჭინელი — — —	1,094.
9) დიდოელი (ცესნი) — —	4,010.
10) კანუჭელი — — — —	1,703.
11) სუენძახელი (ენუბა) —	568.
12) ბოთლიელი — — — —	1,102.
13) უღნი — — — —	300.
14) ხახანი — — — —	139,652.
15) ლეკნი — — — —	33,982.
16) ანჭინელი — — — —	562.
17) დარდოელი (სურკიელი) —	83,588.
18) ერაყაიათაელი — —	5431.
19) ეუბახელი — — — —	3757.
20) თახანელი — — — —	14,667.
21) აღელი — — — —	5,022.
22) ქიურინელი — — — —	105,688.
23) მუხადარი (რუთელი) —	10,009.
24) ნოხელი — — — —	3,428.
25) ვანუჭელი — — — —	659.
26) ბუღელი — — — —	3420.
27) ჯიქნი — — — —	9,767.
28) ხანაღელი — — — —	2315.
29) ურინი — — — —	3200.

567,649.

VIII კავკასია-შავის-ზღვის გუნდისანი:

1) აღინი — — — —	75,360.
2) ებარდოელი — — — —	53,098.
3) ახანნი — — — —	71,933.

IX სემიტელი:

1) ებრაელი — — — —	15,680.
--------------------	---------

X თურქო-თათრის ტომისანი:

1) თათარი — — — —	828,203.
2) დარუმანდელი — — — —	22,917.
3) ერაყელი — — — —	10,000.
4) ნოღელი — — — —	75,415.
5) ერგოზელი — — — —	11,554.
6) შანსელი — — — —	3,821.
7) თურქმენი — — — —	3,207.
8) უმისელი — — — —	72,329.

XI ფინის ტომისა:

1) ესტნი — — — —	300.
------------------	------

XII მონღოლ ტომისა:

1) ელმუხელი — — — —	10,374.
2) მულანდელი — — — —	24,745.

XIII უცნობთა ტომისანი:

1) ბუშნი — — — —	131.
2) კურდნი — — — —	23,225.

სულ ამიერ და იმიერ კავკასიის მცხოვრებნი არიან: — — 2,699,386.

— ტფილისის შემოსავალ-გასავლის სქემა, აღრიცხული 1877 წლისათვის, გვაცნობებს ჩვენ, რომ ქალაქს ტფილისს ჰქონია.

შემოსავალი 1876 წ. — — — — 339,551 მან. — — 1877 წ. კი მოკლიან — — — — 439,887 მან. ამათ შორის:

ქალაქის ქონებიდან და საიჯაროდრო მამულებიდან — — — — 47,155. უძრავ ქონების ჰატრონთაგან მალი — 153,806. სავაჭრო და სარეწავო ადგილებიდან გადასახადი — — — — 54,671. ნოტარიულთ სიგელთაგან და სხვა და სხვა საჯანთაგან — — — — 36,360. საზინიდან და ერობისაგან მონაშეული — 147,895.

სულ დაიჭერს — — — — 439,880 მან. მარმანდელი შემოსავლის ჯამი ეოფილა — 339,555. მამასადამე წლევეანდელი შემოსავალი მარმანდელზედ მეტია — — — — 100,336 მან. გასავალი 1876 წელს იყო — — — — 320,042. — — 1877 წლისათვის დანიშნულია — 429,404. ამათ შორის:

ქალაქის საზოგადო გამკეობისათვის — 79,638. ქალაქის პოლიციისა, საექიმო ნაწილისა და ტუსაღთა ცინისათვის — — — — 86,707. ქალაქის საზოგადო ქონებისა მოვლისათვის და ქალაქის კეთილ-კარგიერებისათვის 67,847. სამხედროთა სადგომისათვის — — — — 131,582. ვაღთა მოსაშორებლად — — — — 41,326. სხვა და სხვა გასავალი — — — — 22,304. სულ ჯამი გასავალი დაიჭერს — 429,402. მარმან 1976წ. გასავლის ჯამი ეოფილა - 320,042. მამასადამე 1877წ. გასავლის ჯამი მეტია მარმანდელზედ — — — — 109,362 მან.

— ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი ტფილისის სემინარიის უფ.კუშინსკის პასუხის *) პასუხად: „უფ. კუშინსკი ამბობს, რომ „სემინარიაში ქართულის ენის კათედრა არის დანიშნული, მასწავლებელი ქართულის ენისა ეოველთვის ეოფილანო.“ ჩვენც მაგას ვხივით, რომ ეოველივე ეს უმაღლესის მთავრობისაგან მონიჭებული გვაქვს, მაგრამ უმაღლესისაგან წართმეული 1872 წლიდან ქართულის ენის მასწავლებელი ხან იყო და ხან არა. უფ. ტურევის ეჭრო ევ თანამდებობა და დიდად ცდილობდა კეთილსინდისიანად შეესრულებინა

*) უფ. კუშინსკის პასუხი „დროების“ 35 №-ში იყო დაბეჭდილი

თავისი მოვალეობა. მაგრამ უფ. კუშინსკისა და რექტორის ვალენტინის შემწეობით უფ. ტურიევი სემინარიიდან დაითხოვეს და 1874 წლამდე ქართულის ენის მასწავლებელი სემინარიას არა ჰყოლია. ამ წლის ენკენისთვეში მასწავლებელად დანიშნეს უფ. ტატიევი, რომელსაც თვითონ შეეირნებინა ასწავლიდნენ ზოგ-ზოგ სუცურს ასობესა, ასეთი მცოდნე გახლდათ ქართულისა. ამისთანა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ქართული ენა? ნუთუ ეს უმადლესის მთავრობის კეთილ-ნების გაუქმება არ არის?

უფ. შუკინსკი ამბობს, რომ სემინარიის მოწაფენი, როგორც მომავალი სამღვდელთა ქართულის მრევლისა აქვე სემინარიაში იმართებიან ქართულის ქადაგებისათვისაო, ამისათვის უფ. კუშინსკი აკითხებს მოწაფეთა ფილარეტის, ინოკენტის, სმოლენსკის, იაკიმოვის და ევსევის რუსულს ენაზედ წარმოთქმულთა ქადაგებთა. იქმნება ეს ქადაგებანი ძალიან კარგნი იყვნენ, მაგრამ რუსულმა ქადაგებამ რომ ქართული ასწავლოს მოწაფესა, მაგისი კი რა მოგახსენოთ. აბა უფ. კუშინსკიმ დაგვისახელოს ერთი ქართულად თქმული ქადაგება, რომ მოწაფეებისათვის წაეკითხებინოს ენის გასამართავად. უფ. კუშინსკის მოსვლის შემდეგ სემინარიის ეკლესიაში ქართულს ენაზედ ქადაგება სრულიად მოსპობილია. ესლა ვკითხოთ: როგორ და რით იმართებიან მოწაფენი ქართულის ქადაგებისათვისა?

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ მოწაფენი ვალდებული არიან რუსულს საეკლესიო გალობასთან შეისწავლონ ქართული გალობაცა, ამისათვის დანიშნულია მასწავლებელიო. ბატონო, ვჰსთქვათ რომ მოწაფენი მოვალენი არიან ისწავლონ ქართული გალობაცა, მამ თქვენც რომ მოვალე იქნებით ასწავლოთ ქართული გალობა. ასწავლით კი? რომ ბძანებთ მასწავლებელია ამისათვისაო, არ შეიძლება დაგვისახელოთ, ვინ არის. რომ არა გეავთ ეგ მასწავლებელი ვის დაასახელებთ!..

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ უწმინდესი სინოდი თხოულობსო ქართულს ენას ისეთივე ადგილი ეჭიროსო სემინარიაშიო როგორც სხვა საგნებსაო. ბატონო, ეგ ეველამ ვიცით, რომ უმადლესის მთავრობისაგან ეგრეა განწესებული, და ჩვენ მით უფრო გვტკივა გული, რომ უმდაბლესნი მავ წესს უშიშარად არღვევენ და ჩვენს შვილთა თვის საუნჯე-დედა-ენას ავიწეებინებენ.

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ უწმინდესის სინოდის განკარგულებითაო მოწაფენი ვალდებული არიანო იცოდნენ შესანიშნავი წერილნი ქართულის საერო და საეკლესიო ისტორიისაო. განა ეს სემინარიაში აღსრულებაში მოდის? აბა რომელი წიგნი გიძლევათ

მოწაფეთათვის, რომ ეგ უწმინდესის სინოდის მოთხოვნილება მოწაფეს აესრულებინა? მამ თქვენი მოწაფე ზ. კ- კი ვალდებული არ იყო თავის ქვეყნის ისტორია შეისწავლა? რად წაართვა უფ. კუშინსკიმ, დასტუქსა, და მხოლოდ ცრემლით ხვეწნისა შემდეგ დაუბრუნა ზ. კ- გს ქართული ხელნაწერი ისტორია? რათ წაართვა ერთს მოწაფეს ქართული „დავითიანი“ მეორეს „საქმასწავლო კონა“ და ბიბლიოთეკაში შეიტანა?“

—
 თუძეა ჩვენში ქართული წარმოდგენა ისე ხშირი არ არის, მაგრამ მაინც დიდი ხანია არ დავსწრებივართ იმისთანა მშვენიერს ქართულს წარმოდგენას, როგორც წუსელ გაიმართა საზოგადოებრივ თეატრში. წარმოდგინეს უფ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა“, სომხურიდან გადმოღებული. ეს წარმოდგენა მეტადრე მომქმედთა ზირთა თამაშობით არის შესანიშნავი, ვიდრე თვითონ კომედიის შინაარსით. დედა-საგანი ამ კომედიისა არის ერთი ამქამადაც განძირებული უმეცარი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა — მაჭანკლით ქალის გათხოვება. ალაგი ნებას არ გვაძლევს აქ დავწრილებით ვუამბოთ მკითხველს ეს კომედია. მხოლოდ ის კი უნდა აღვიაროთ, რომ ამის დამწერს ცოტა გადაჭარბებით გრძელი ლაპარაკი მიუხდვია მომქმედ ზირთათვის ასე რომ კომედიის საგანს არ უხდება. ამ კომედიის საზოგადო სასიათი იმ რიგია, რომ მოქმედება ჩქარა უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ ჩინებულმა აღსრულებამ ვერც კი შეამჩნევინა მათურებელს ეს ნაკულუკვანება კომედიისა. მეტადრე სასიამოვნო იყვნენ წარმოდგენაში ელ. ეიფიანისა, უფ. კოსტ. ეიფიანი და ვას. აბაშიძე. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი მათურებელი არ დასწრებია წუხანდელ წარმოდგენას. ნუ თუ ქართული წარმოდგენა ისე ხშირია რომ მობეზრდა კიდევ ჩვენს საზოგადოებას!

თამარ გიფის სახე გითანის ეკლესიაში

შენს წმიდას სახეს,
 შეგნებით სავსეს,
 სახიერებით განსხივებულსა,
 ვუმჯერ კრძალვითა,
 თავჯან-ცემითა,
 ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
 *
 მინარის, — გიმჯერ!
 ვჰსწუხარ — და გიმჯერ!
 და ესრეთ მჯერა მსურს სიკვდილამდე,
 არ გამოფხინოხლდე,
 რომ აღარ ვჰგტმნობდე
 ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!...
 *

ევავილოვანი
 წალკოტი შენი,
 შენის დიდების სხივ-მოკლებული,
 აღაბა ჰშვენის,
 აღაბა გვიბწწინვის,
 შავ-დროთა ძალით ფერ-წახდენილი!.... *

და ვით წახულსა,
 სიზმარსა ტკბილსა,
 მზეს, დიდებულად ჩახვენიებულსა,
 ვიკონებთ შენს დროს,
 გული გვიმაგროს,
 სრულად არა წავჭსწედეთ ცით შერისხულნი!.... *

ხნით დამაშვრალი,
 დაღონებული,
 შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
 მოხედო ბედგორულს,
 შენს სატრფოს მამულს,
 და ჯვართით შენით აკურთხო კვალად, *)
 შენი ივერი:
 იქმნეს ძლიერი
 სარწმუნოების გულსში დანერგვით!....
 წმიდით საეღარით,
 ენით მდიდარით,
 სწავლისა შუქით განათებული!
 ხნე ამაღლებით,
 შრომით, მხნეობით,
 და განჰქრეს ბნელი უმცდრებისა!...
 და გაგვიცოცხლდეს,
 რომ კვლავც მოგვეძმეს,
 რუსთაველის ხმა გულის მიმტაცნი!.... *

..... მარამ ცნად თვალნი,
 გაქვს მიქცეულნი,
 და მე ველარ მცნობ დამცირებულსა,
 სულითა მოკლეს, უდებად ქმნილსა,

შორს შორეულსა,
 შენს უღირსს შვილსა!...
 *
 ვა თუ რაც წახდეს,
 ველარ აღჭვავდეს ახლის შვენებით?
 და რაც დაეცა,
 ის წარიტაცა,
 შავძან ეორანმა, ვით უმწე მსხვერწლი?
 *
 ჰე, ცრუ სოფელო,
 დაუნდობელო,
 შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
 დიდება ჩვენი,
 ცნად სხივ-მიმფენი,
 ნუთუ ესლა გვაქვს, ვახედავ რასაცა?...
 დაერუებულსა,
 გზა-მეუვალსა,
 უდაბურს ტეეში, — ტამარს დარღვეულს,
 სად სახე მეფის,
 დიდის თამარის,
 ჰსჩანს ძველს კედელზე გამონატულად!...
 ქსნისხვეული.

საზოლიტიკო მიმოხილვა

ოსმალეთი. — ოსმალეთის სახელმწიფომ არც ლონდონის სიგელი მიიღო, არც ჩერნოგორიას შეურიგდა და არც დეხანის ვაგზავნა რუსეთში. ანლა? ანლა ეველანი ომის ლოდინში არიან.

ამბები ისე სწრაფად მიმდინარეობენ, ისე ჩქარა სცვლიან ერთი ერთმანეთს, რომ კაცი ვერ ასწრობს დააფიქრდეს და რომელიმე შეხედულობა იქონიოს. მეტადრე კვირა გამომშვებითს გაზეთს, რასაკვირველია, არ შეუძლიან დროზე გაუწიოს თავის მკითხველს ამ ამბებზე მუსაიფი. დღევანდელი ანალი ამბავი ხვალ დამველდება კიდევ სოლმე.

გერმანია. — ამს წინედ გერმანიის რეილსტაღში დიდი ბაასი გაიმართა შესახებ იმისა, რომ ელზასსა და ლოტარინგიას ანალი მმართველობა მიეცესო. როგორც მოგეხსენებათ, აქამდისინ ელზას-ლოტარინგიის საქმეებს განაგებდა ცალკე განყოფილება იმპერიის კანცლერიისა, რომლის წარმომადგენელად თვითონ ელზას ლოტარინგიამში

*) ქარკელეძა, შავი დრო, დაარქვეს სახელად ლანტოქურის და შაჰაბასის შემოსვლასა, რომელთაც სრულებით გაათხრეს საქართველო.
 *) თამარძევე ყოველთვის ჯვართა აკურთხებდა ჯაზსა, სა-
 ლაშქროდ განმხადებულსა.

არის უმაღლესი გამგეობა. გარდა ამისა ელჩას-ლოტარინგიაში არის საერო საბჭო, რომელსაც არა ვითარი კანონ-მდებლობითი უფლება არა აქვს და მხოლოდ რჩევას აძლევს უმაღლესს გამგეობას, როდესაც ახალ ადგილობრივ კანონზე ჩამოყარდება ლაპარაკი.

საზოგადო კანონებს კი როგორც მთელ გერმანიისათვის, აგრეთვე ელჩას-ლოტარინგისათვის სდებს რეინსტალი და მოხავეთა საბჭო.

ახლის წესდებულების დედა-აზრი იმაში მდგომარეობას, რომ ეს საზოგადო კანონ-მდებლობა ელჩას-ლოტარინგისათვის მიენიჭოს საკუთრივ იმპერიის მთავრობსა ელჩას-ლოტარინგის საერო საბჭოს დაკითხვით, ე. ი. მთავრობას. როგორც კანონი უნდა ისეთს გამოცემს, მხოლოდ რჩევა კი უნდა მოსთხოვონ საერო საბჭოს. თუ ვინცობაა საერო საბჭო მთავრობას არ დაეთანხმა, მას არ ექმნება უფლება თავისი ჩივილი გერმანიის ჰარლანდის წარუდგინოს. მამ ვის ექმნება ამ უთანხმოების მოსპობის უფლება? რასაკვირველია თვითონ გერმანიის მთავრობას. აი ბრძნული განკარგულება ეს არის! მამ რიდას დამაშვენებელი იქმნებიან ის თხუთმეტი დეპუტატი, რომლებსაც ელჩას-ლოტარინგია გზავნის რეინსტალიში ესლა აკლდა გერმანიის კონსტიტუციას, და მეორის მხრით, ესლა აკლდა საცოდავს ელჩას-ლოტარინგისაც.

ელჩასის დეპუტატებმა ბევრი ღონისძიება იხმარეს, რომ ახალის განკარგულების უსამართლობა დაემტკიცებინათ, მაგრამ ვერა გააწვეს რა. ეს განკარგულება მით უფრო უსამართლოა, რომ გერმანიამ ხალხის დაუკითხავად დაიხემა ელჩას-ლოტარინგია და მისი მდგომარეობა უამისოდან სამწუხარო და უბედური იყო ჰრუსიელების ხელში.

—ამბობენ, რომ ბისმარკის დროებით სამსახურიდან გამოსვლის მიზეზი მითომ ის არისო, რომ იგი და გერმანიის იმპერატორი სხვა და სხვა აზრისანი არიანო აღმოსავლეთის საქმის შესახებ: გერმანიის იმპერატორი თურმე რუსეთისკენ არის, და ბისმარკი კი მისი წინააღმდეგიაო. მართალია ეს თუ არა, რა მოგახსენოთ: ბისმარკი ისეთი ოსტატი კაცია, რომ ხორციელი აღამიანი მხელად გაიგებს გულში რა აქვს.

იტალია. — მომავალ ამბებში აღმოსავლეთის საქმის შესახებ იტალიაც მიიღებს, რასაკვირველია, ჯეროვანს მონაწილეობას. ავსტრი-ვენგრია ეოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ აგები როგორმე დაიმეოზროს იტალია და მით აიცილოს თავიდან ეოველი დაბრკოლება აღმოსავლეთის საქმეში. მაგრამ ეს მეოზობრობა იტალიელებს ვერაფრად ეჭამნიკებათ.

აი ამას წინედ მიღანში რა მოხდა.ლომბარდიაში (იტალიის ჩრდილოეთი ნაწილია) რამდენსამე სამშობლოს მოყვარეს მოაგონდათ ერთი სამწუხარო ამბავი იმ დროისა, როდესაც იტალიის ჩრდილოეთი ავსტრიის მფლობელობის ქვეშ იყოფებოდა. სახელდობრ: 1853 წ. რამდენიმე კაცი დაეცა ავსტრიის გუშავს და ასტყდა შეტაკება და სისხლის ღვრა. ავსტრიის მთავრობამ, რასაკვირველია, ეს საქმე იტალიელებს დააბრალა; ის კი არა, თუ როგორც ბოლოს გამოჩნდა, ეს შეტაკება თვითონ ავსტრიელებმა მოიგონეს და თავისივე კაცები დაარვიეს გუშავს დაეცითო. ეს უმგზავსი ამბავი მოაგონდათ მიღანელებს და ისურვეს დღესასწაული გაეძარტათ თავის მომმეთათვის, რომელნიც უბრალო დაიტანჯნენ რადგანაც არა ვითარი მონაწილეობა არ მიეღოთ ზემოხსენებულს ჩხუბში. ამ დღესასწაულის შესახებ წინადადება წარუდგინეს დეპუტატთა ჰალატს, რომელთაც თავისი ნება-რთვა გამოაცხადა და გადაწვიტა დეპუტაცია გაეგზავნა მიღანში. გაიგო ეს ამბავი ავსტრიის მთავრობამ თუ არა, მაშინვე მის-და იტალიის მთავრობის შორის შეიქმნა გრძელი მიწერ-მოწერა, მაგრამ ავსტრიის მთავრობამ ვერა გააწვიტა ვარდა იმისა, რომ სთხოვა მეორე დროსათვის გადადევთ თავისი დღესასწაული.

მუშის სიმღერა

(ტომას გუდასებრივი)

მამეცით ცელი ეანებისა გასაცვლავად, მამეცით ფოცნი თავთავების მოსაფოცნავად; მამეცით დანა, წაღდი, ცული, — ან რაც გეხებოთ, რომ მეცა დავრჩეცოლ-შვილითა თქვენც დაგარჩინოთ! აჰა თქვენც ჩემი მიხვეული შრომას ხელეები, ჯაფის სწავლაში ნაწურთნი და ნავარჯიშები.

რუს გაევანა გსურთ, თუ მინდვრისა გაჰატივება, ეანის მხად შეკვრა, ანუ ისე აბუღულება, — ეველა შრომისთვის ეოველ დღეს ვარ გამწადებული, ოლონდ შიმშილით არ ამოხდეთ ჩემ ცოლ-შვილს სული! თქვენც ნუ შეჰკრთებით: მე არ მიძევს გუნებაშია, რომ თქვენი სარჩო, ჩემი ღვაწლი დავწვა ცეცხლშია!

მე თავის დღეში ფიქრათაც არ წარმომიდგება ჩემკნით ცეცხლითა გადაწული თქვენი ცხოვრება; მე მინდა ცეცხლი ენთოს მხოლოდ ჩემსა კერასედ, რომ სიცივისა და ეინვის დროს ჩემი შვილები მის გარემეძო დამშვიდებით ისხდნენ ჭილობზედ ჯანით საღები, ტანთ მოხილნი, ჰურით მამღრები!...

მან, ვისგნითაც სცნოვრობის მთელი ქვეყნიერება, ვისგნითაც ეანებს კალიები მოველინება, — დაე მან მეხით დაანგრიოს მისი ცხოვრება, ვინც არ ისმინოს გულითადი ჩემი ვედრება და ესლავე არ გამიჩინოს მე სამუშაო. რაღას უეუტრებთ, დამიძახეთ: „მოდო მუშაო!“

მამეცით წაღდი, ცუელი ტეეთა გასახეველად, ნამკალი ეანის მოსამკალად, ცელი საცელად; როგორიც უნდა საქმე იეოს მე ავასრულებ, მაშინ არავის ცხოვრებასა ხელს აღარ ვახლებ. თუ არა შრომით, მაშ მითხარით რითი ვიცნოვრო? ჩემს გაჩენაში ურევიხარ შენ, მაცნოვარო?!....

ქვეყანაზედა მე მსურს ერთი ბედნიერება: ჩემის ოფლითა და შრომითა ტებილად ცხოვრება. მამეცით საქმე. აჰა თქვენცა ჩემი ხელები, ჯაფის სწავლაში ნაწურთვინი და ნავარჯიშები. ამ ხელებითა და ფეხებით მსურს ვიმუშაო, და არა ქვეყნად ვიწანწალო და ვივლახაო!

მე არ ვთხოვლობ არავისგან მოწუალებასა და ამითი არ დავამცირებ ჩემს ღირსებასა; შრომის დავაგარად ვითხოვ თქვენგნით დაჯილდოებას. ქვის გულიხანაო! უურს არ უგდებთ ჩემსა ვედრებას? გაიგონევიო! მსურს ვიცნოვრო ჩემის ოფლითა და არა თქვენის საჩუქრით და მოწუალებითა. ოღონდ კი მქონდეს ღუკა ზური, სახლი ჰატარა სხვა ამის მეტი, მერწმუნეთ მე არა მინდარა!...

მამეცით წაღდი, ცუელი, დანა, ფოცხი, ნიხები, ნამკალი, ცელი — ეველა შრომის იარაღები! როგორიც უნდა საქმე იეოს მუდამ მზათა ვარ, ვიდრე ცოცხალ ვარ მე იმისი ერთგული ემა ვარ! ნეტავი იმას, ვინც ამ თხოვნას ავვისრულებდეს ან ჩვენის შრომის ფასს სრულიად ჩავაბარებდეს!...

ს. ოქრიაშვილი.

1877 წ. თებერვლის 20-სა

მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელ-მწიფოთათვის

იტალია: — დიდი ხანი არ არის, რაც ესლანდელის იტალიის საკოროლო სუფევს. თითქმის 1860 წლამდე იტალიის ნახევარ კუნძული განუოფილი

იყო რამდენსამე სამეფოდ, რომელიც ოთხის წლის განმავლობაში (1856-1860 წ.) შეუერთდენს ერთს მათთა შორის უძლიერეს სამეფოს — სარდინიის საკოროლოს, და ამ რიგად დაარსდა ესლანდელი იტალიის სახელმწიფო (17 მარტს 1861 წ.) თუძცა ის ხალხის მოძრაობა, რომლის ძალითაც მოხდა ეს ამბავი, დიდად შესანიშნავი და ღირს-საცნობია, მაგრამ ამ ქამად მის მოთხრობას ვერ შეუდგებით. ეს თვალ-საჩინო ხანა იტალიის ისტორიისა უფრო ვრცელი ადგილის ღირსია, ვიდრე ამ მოკლე წერილისა

ესლანდელი კონსტიტუცია იტალიისა იგივეა, რომელიც არსებობდა სარდინიის საკოროლოში, გარდა რამდენიმე მცირე ცვლილებისა. ხელის (ადმინსრულებელი) უფლება ეკუთვნის კოროლს, მის მინისტრებს და სხვა მინისტრთა ხელქვეით მოხელეებს. კანონ-მდებლობითი უფლება ეკუთვნის კოროლს, სენატს და დეპუტატთა ჰალატს. კოროლი არის უძალდესი ლაქარ-მთავარი. მას აქვს უფლება გამოაცხადოს ომი ან შერიგება, გამოცხადოს სხვა და სხვა ბრძანება კანონთა აღსრულების შესახებ. კოროლი ეოველწლივ შეჭერის ორთავე ჰალატს; მას აქვს უფლება გადასდვას მათი ერილობა, და სრულებით გადაეენოს დეპუტატთა ჰალატი, მაგრამ იმ ჰირობით კი რომ ერთს თვეს უნდა მოიწვიოს სხვა ახალი ჰალატი. კანონ-მდებლობითის თაოსნობის უფლება ეკუთვნის როგორც კოროლს, ავრეთვე სენატს და დეპუტატთა ჰალატს. ეოველი კანონი, რომელსაც საუნად აქვს რომელიმე ახალი გარდასახადი, წინაპირველად უნდა გარჩეულ იქმნას დეპუტატთა ჰალატში. სხვა ეოველი კანონი ჯერ ერთს საბჭოში გაისინჯება, მერე მეორეში და შემდეგ კოროლის მიერ დამტკიცდება. კოროლი აწვეებს და ითხოვს სამსახურიდგან თავის მინისტრებს. ეოველი განკარგულება კოროლისა მინისტრის მიერ უნდა ხელმოწერილი იეოს, თორემ არავითარი ძალა არ ექმნება და უქმია. ეოველს განკარგულებაში, რომელსაც მოახდენს ხელისუფლება, ჰასუსის მკებელნი მინისტრები არიან, და არა კოროლი. ზემოდ მოხსენებული იყო, რომ კანონ-მდებლობითი უფლება ეკუთვნის ორს საბჭოს, სენატს და დეპუტატთა ჰალატს. ამ ორთავე საბჭოს წევრთა არავითარი ჯამავირი არა აქვსთ დანიშნული, და ამის გამო დაბალი და ღარიბი ხალხი ვერ გზავნის თავის წარმომადგენელს ჰარლამენტში. ეოველი იტალიელი, რომელიც ოცდა ათის წლისა, შეიძლება ამორჩეულ იქმნას ჰარლამენტის წევრად. დეპუტატებს ირჩევენ ხუთის წლის ვადით, არჩევანის უფლება კი, რა

საკვირველია, ეველას არ ეკუთვნის. ამორჩეულს უნდა ჰქონდეს კანონით დადებული ღირებულობის ქონება, 25 წლისა მაინც უნდა იყოს და წერა-კითხვა უსათუოდ იცოდეს.

ამომრჩეველთა რიცხვი ამ ქამად არის 528,000 კაცი (იტალიაში სცნოვრებს 27,482,174 სული). დეპუტატთა ზალატში 508 წევრია. 40 ათასს სულზე ერთი დეპუტატი მოდის.

სენატის წევრთა ნიშნავს თვითონ კოროლი, მათი რიცხვი არ არის განსაზღვრული. ხოლო ამ ქამად 322 სენატორია. ივინი აღსრულებენ თანამდებობას ვიდრე ცოცხალნი არიან. ეოველი სენატორი ორმოცის წლისა მაინც უნდა იყოს. ეოველი სრულიწლოვანი შვილი კოროლის ოჯახისა სენატის წევრია. სენატი არის აგრეთვე უმაღლესი სამსჯავრო იტალიის სახელმწიფოში.

იტალიის სივრცე შეადგენს 5,321 ოთხკუთ. მილს, რომელზედაც სცნოვრებს 27,482,174 სული. სარწმუნოებით იტალიელნი თითქმის განსაკუთრებით კათოლიკენი არიან.

ეოველი სრული წლოვანი იტალიელი ვალდებულია ლაქარში ემსახუროს ვიდრე ორმოცის წლისა შესრულდება.

მშვიდობიანობის დროს თოფ-ქვეშ იმეოფება 205,314 კაცი (აფიცრების რიცხვი 12,196). ომიანობის დროს იტალიის ჯარის კაცთა რიცხვი აღის 867,886-მდე.

იტალიის სახელმწიფოს-შემოსავალი 1,321,142,386 ფრანკია, *) და განსავალი კი 1318,612,252, ასე რომ ძირსა რჩება 2,530,134 ფრანკი.

**უკანასკნელი განსაკვეთი.
ნაამობი პატარა ალფასელია *)
(მოთხრობა ალფონს დოდესი.)**

ამ დილით მე სასწავლებელში წასასვლელად ცოტად დავგვიანდი და ძალიან მეშინოდა საყვედურისა მით უფრო, რომ ჩვენმა ოსტატმა გამელმა წინაღვე გვითხრა ღრამმატიკა გაიკვეთეთო, იმასა გვითხავთო და მე კი ერთი სიტყვაც არ გამეკვეთნა ჯერ. მსწრაფლ ფიქრად გამიარა — მოდი დღეს არ წავალ სასწავლებელში, მეთქი. ვსთქვი და ავასრულე კიდევ. მინდორში გავიქეცი.

— ასე თბილოდა, ასეთი ნათელი იყო ქვეყანაზედ მოფენილი!

*) ჩეკულებზედა ძაღბულია ოთხი ფრანკი ერთ მანეთად.
*) აღსასი ის ქვეყანაა, რომელიც პრუსიამ წაართო საფრანგეთსა ამ უკანასკნელ დროს და რომელსაც სული და გული დღესაც საფრანგეთისაკენ არის.

ტყის პირში შაშვების შტვენის ხმა ისმოდა, პრუსიის ჯარის-კაცნი რიპერის ქარხანის ახლოს მინდორზედ ვარჯიშობდნენ და სწავლობდნენ. ჩემთვის ყოველივე ეს უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ღრამმატიკის გაზეპირება, მაგრამ ჩემი ჯიუტობა გავტეხე, მყის გამოვბუნდი და ჩქარის სირბილით ისევ სასწავლებლისაკენ გამოვიქეცი.

მივუახლოვდი ქალაქის სამმართველოს თუ არა, თვალის შევასწარ, რომ ხალხი მოგროვილა და რაღაც განცხადებას კითხულობს. აი ორი წელიწადი იყო გასული რაც ამ სამმართველოდამ სულ ცუდი ამბები გვესმოდა: ხან ისა, რომ აი ამა და ამ ადგილას ჩვენი ჯარი დამარცხდაო, ხან ისა რომ პრუსიელებმა დაგვარბიესო, ხან ეს ბძანება გამოვიდა პრუსიელებთაგანაო, ხან ისაო და სხვა ამ გვარი.

— „ნეტა მითხრა რა მომხდარა კიდევ“ გავიფიქრე გულში და სირბილით გავემუტრე. გზაზედ შემეყარა მჭედელი ფანტერი. იმას და მის შევირდს წაეკითხნათ განცხადება და რაკი დამინახა დამიყვირა:

— რას მიემუტრები, ჯერ მაინც ადრეა, სასწავლებელში თავის დროზედ მიხვალ.

მე მეგონა რომ დამცინის. დაღალული და დაქანცული შევარდი უფ. გამელის პატარა ეზოში, სადაც ჩვენი სასწავლებელი იმყოფებოდა:

სხვა დროს ვიდრე სწავლა დაიწყებოდა ასეთი ალიანქოთი და ჟრიაბული იყო ხოლმე სასწავლებლის ოთახში, რომ ქუჩაში ისმოდა. ზოგი სტოლის უჯრებს გამოადებდა და შეალებდა, ზოგნი ხმა მალა იზეპირებდნენ გასაკვეთსა, ყურები კი დაეცოთ, რომ უფრო კარგად დაეხსომნათ. ოსტატი კი თავისის მოზდილის სახაზავით დადიოდა და წამ და უწუმ ამბობდა: ყმაწვილებო, თუ შეიძლება ცოტა ნელა. მე ამ ჟღრიაბულის იმედი მქონდა ჩემს ადგილას ისე დავმჯდარვიყავ, რომ ოსტატს არ დავენახე. მაგრამ იმ დღეს ასეთი მშვიდობიანობა და სიჩუმე იყო თითქო კვირა დღე არისო. გაღებულს ფანჯარაში შევიხედე და დავინახე, რომ სულ ყველანი ჩემი ამხანაგები თავის ადგილას სხედან, ოსტატი კი, თავისი საშინელი რკინის სახაზავით ილიის ქვეშ, წინ და უკან დადის. მეტი ჩქარა არ იყო, უნდა გამელოკარი იმ სიჩუმეში და გამებედნა ოთახში შესვლა. ვინ იცის რა ფერი მედო შიშისა გამო!... რა გგონიათ? ჩემმა შიშმა უქმად ჩაიარა. უფალმა გამელმა შემომხედა მე გაუჯავრებლად, და მშვიდობიანად მითხრა:

„ჩქარა დაჯექ, პატარა ფრანცო, შენს ადგილას. ჩვენ უშენოდ გვინდოდა დაგვეწყობო კიდეც“.

გადავცოცდი ჩემს ადგილისაკენ და დავჯექი. როცა ცოტად გული დამიმშვიდდა და მივიხედ-მოვიხედე ვნახე რომ ჩვენს ოსტატს კარგი მწვანე სერთუკი ეცვა, თეთრი, ჩინებულად გაუთუებული პერანგის საყელო უჩანდა და თავზედ ეხურა აბრეშუმით ნაკერი ქული, რომელსაც იხურავდა მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, მაგალითად, როცა უფროსი ეწვეოდა სასწავლებლის გასაჩხრეკად, ანუ ჯილდოების დარიგების დრო იქნებოდა. თვითონ ოთახში კი რაღაც საოცარი მედიდურობა იყო, თითქო სადღესასწაულო რამ არისო.

მე უფრო იმან გამაკვირვა, რომ სასხდომი ადგილები ოთახის ბოლოს, სხვა დროს ცარიელი იყო ხოლმე, ეხლა კი სულ დაეჭირათ სოფლის ხალხს, რომელნიც ისე ხმა დაკმენდილი იყვნენ, როგორც ჩვენ. იქ ისხდნენ ბებერი ხაუზერიც თავისის განუშორებელის სამკუთხიანის ქუდითა, უწინდელი სოფლის უფროსი, მისი უწინდელი მწერალი და ბევრნი სხვანი. ყველა დაღონებულის და შეწუხებულის სახით იჯდა თავის ადგილას. ხაუზერს მოეტანა თავისი ძველი, პირებ-მოჭმული ანბანი, გადემალა მუხლებზედ და ზედ გადაშლილზედ გარდი-გარდმოდ დაედვა თავისი უშველებელი სათვალეები.

ვიდრე ყოველს ამას ვათვალიერებდი და გაკვირვებაში ვიყავ, უფალი გამელი ავიდა თავის კათედრაზე და გვითხრა იმ ტკბილის და რიხიანის ხმით, როგორითაც მე შემოსვლის დროს მომმართა:

„ყმაწვილებო! დღეს ჩემი უკანასკნელი სწავლების დღეა. ბერლინიდამ ბძანება მოვიდა, რომ ალზას ლოტარინგიაში მარტონემეცურებო უნდა ასწავლონ. ხვალ სხვა ახალი მასწავლებელი გეყოლებათ. დღეს უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანციული ენა. გთხოვთ ყურადღებით იყვნეთ“.

ეს სიტყვები როგორც ისარი ისე მეცა გულს. ჰოი ბარბაროზნო! აი თურმე რა გამოცხადება ყოფილა სამმართველოს კედელზედ გამოკიდებული!...

უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანციული ენაო!... მე კი ჯერ ძლივს ვჯღაბნიდი ასოებსა! — ჰსჩანს თავის დღეში ვეღარ ვისწავლი. ნუ თუ ამაზედლა უნდა გავიჩრდე!... ოხ, რა რიგად ვწუხდი დაკარგულ დროისათვის. როდესაც

უნდა მესწავლა, მაშინ დავბრბოდი ჩიტის ბუდეების საძებნელად, ანუ ვსრიალებდი ყინულზედ!... ჩემი წიგნები, რომელნიც იმ დღემდე თვალის დასანახავად მემძიმებოდნენ, ჩემი ღრამმატიკა, სამლო უწერილი ოსტატის სიტყვების შემდეგ შემიყვარდნენ როგორც მეგობრები, რომელთაც მოშორება და დათმობა ძნელია.

თვითონ უფალი გამელი!... რაკი წარმომიდგა რომ იგი მიდის და ამის შემდეგ ვეღარ ვინახულებ, წელი მომწყდა. მე ამ ფიქრში გართულს დამავიწყდა მისი სახაზავით ცემაცა და ყოველივე მისგან მოყენებული სასჯელიცა.

საწყალი! ეხლა კი მივხდი რისთვისაც ჩაეცვა ახალი ტანსაცმელი და რისთვისაც მოსულიყვნენ ჩენი მოხუცებული სოფლელები. თურმე უკანასკნელი გასაკვეთის მოსასმენლად მოგროვილიყვნენ, რომ ამით გამოეცხადებინათ უფალის გამელისათვის თავისი გულითადი მადლობა ორმოცის წლის სამსახურისათვის, და საფრანგეთისათვის, თავისის საყვარელის მამულისათვის, რომელიც მათ შორდებოდათ, პატივი მიეცათ.

მე სრულიად ფიქრებმა წამიდეს; უეცრად ჩემი სახელი წარმოითქვა. ყურები ვაცქვიტე, თურმე ჩემი ჯერი მოვიდა პასუხის გებისა. რა რიგად მინდოდა, რომ თავი დამ ბოლომდე შეუცდომელად ამესხნა მშვენიერი წესები ჩვენის ენის თანდებულისა. მაგრამ პირველ სიტყვაშივე ავირიე და მწუხარის გულით, როგორც კეტი, ისე ვიდექ ჩემს ადგილას, სირცხვილით თავი მაღლა ვერ ამეღო. უფალი გამელი მეუბნებოდა:

„ამ ხანად, ფრანცო, მე არ ვისაყვედურებ. შენ უმისოდაც დასჯილი ხარ... მით, რომ არ იცი. იქნება შენა ფიქრობდე: ეჰ, ეგ არა ფერია! თუ დღეს არა, ხვალ ხომ ვისწავლიო! აი ხომ ხედავ რა მოხდა... დიახ, მაგ დღე-ხვალიობამ, სწავლის გადადებამ სახვალიოდ გააუბედურა ალზასი. ეხლა ნემენცებს საბუთი აქვთ გვითხრან: რა მივიგავთ ფრანსიელებს, რომ იძახით ფრანსიელნი ვართო, როდესაც არც კითხვა, არც წერა თქვენს ენაზედ არ იციო?... ყოველს ამაში მარტო შენ არა ხარ დამნაშავე, ჩემო საწყალო ფრანცო! არა, ყოველმა ჩვენგანმა უნდა უსაყვედუროს თავის თავსა.“

„თქვენი ნათესავები თქვენის განათლებისათვის ბევრს არას ზრუნავდნენ, ოღონდ კი ერთი მეტი გროში შეეძინათ და ისინი სხვას არას დასდევდნენ, და ამისათვის ხან სამუშაოდ გვისტუმრებდნენ ქარხანაში, ხან მიწის სახვნელად. არც კი მე ვარ

უდანაშაულო. განა მე კი არ უნდა ვუსაყვედურო ჩემს თავს? განა სწავლის მაგიერ ხან და ხან ჩემს ბაღს არ გარწყვევინებდით ხოლმე? განა როცა სათევზაოდ მივდიოდი, თქვენის დათხოვნის ფიქრი მაწუხებდა?“

უფალს გამელის სიტყვა ერთის საგნიდამ მეორეზედ გადაჰქონდა და ბოლოს ლაპარაკი ჩამოაგდო ფრანსიულს ენის თაობაზედ. გვეუბნებოდა, რომ ფრანსიული ენა ყველაზედ მშვენიერი, ყველაზედ ცხადი, ყველაზედ მტკიცე ენა არის მთელ ქვეყნიერობაზედაო; იგი არ უნდა დავიწყებულ იქმნასო. და თუ ვინმე მონების ქვეშ ჩავარდებოა, მისთვის სამშობლო დედა-ენა უკეთესი ღონეა, რომ უბედურებიდამ თავი იხსნასო... მერე გადასხნა ღრამმატიკა და აგვიხსნა გასაკვეთი. მე მიკვირდა, რომ ყოველი ფერი ისე ადვილად მესმოდა. რაზედაც კი იმ ჟამად მოგვიტხოვრებდა, ყოველივე მეადვილა. მე მგონია რომ ჩემს დღეში ისეთის ყურადღებით არ მივღია იმისათვის ყური და თვითონაც, მგონია, თავის დღეში ისეთის მოთმინებით არ აუსხნია გასაკვეთი, როგორც მაშინ. ადამიანს ეგონებოდა, რომ რაკი გვმორდებოდა, ჰსურსო რაც იცის ყოველივე ერთხანად და ერთბაშად გადმოქცევსო და სულ ერთად თავში ჩაგვიდოსო.

გასაკვეთის ახსნის შემდეგ წერა დაგვაწყობინა. ამ ჯერად უფალს გამელს თვითვეულისათვის ცალკე ახალი დედანები შეედგინა; იმ დედანებში მხოლოდ ეს ეწერა: „საფრანგეთი, ალზასი, საფრანგეთი, ალზასი“. ავიღეთ დედანები და მალლა ჩამოვკიდეთ; როგორც ბაირაღები ისე ფარფარებდნენ თვალწინა. უნდა გენახათ როგორის ყურადღებით ვწერდით ამ სიტყვებს, რა რიგი ხმა გაკმენდილი მდუმარება იყო! მხოლოდ ერთი კალმის წრიპინი ღა ისმოდა. ზოგჯერ მაისის ბუზები შემოფრინდებოდნენ ოთახში, მაგრამ იმათ ყურს არავინ ათხოვდა, პაწაწინა შავირდებიც კი თვალს ქალაღდიდამ არ აშორებდნენ და ისეთის გულმოდგინებით გამოჰყვანდათ თავიანთი ხაზები, თითქო ის ხაზებიც საფრანგეთისანი არიანო.... ჩარდახზედ მტრედები ღულუნებდნენ და მე გავიფიქრე:

„ამათაც ხომ ნემენცურად არ დააწყებინებენ ღულუნსა.“ დრო გამოშვებით ზე ავიხედავდი და ვხედავდი, რომ უფალი გამელი მდუმარედ იდგა კათედრაზედ და რაღაც გულის-ტკივილით თვალს აკვირვებდა ყოველს საგანს, რაც მის გარეშემო იყო, თითქო ცდილობსო საუკუნოდ

დაეხსომებინა ეს პატარა სახლი და ყოველი ის, რაც შიგ არის. როგორც ვინდათ იფიქრეთ, — ის კაცი ორმოცი წელიწადი იყო ამ ადგილას, ორმოცი წელიწადი იყო მასურბელი ერთისა და იმავე ეზოსი, ერთისა და იმავე სასწავლებლისა. ყოველივეს უწინდელი ფერი და სახე ედომხოლოდ შეგირდების სკამები და რუკა დროთა ბრუნვას მოეცვებოდა, კაკლის ხე ეზოში გაზდილიყო, სვია, რომელიც თვითონ დაერგა, გარს შემოჰფენოდა ფანჯრებს და სახლის სახურავამდე ასულიყო. უსათუოდ ძალიან უკვენსდა, ძალიან ჰსტკიოდა გული, რომ ყოველს ამას თავი უნდა დაანებოს; რომ მისი და აქედამ აყრისათვის წინა და უკან დარბოდა ზემო ოთახში და ბარგს ალაგებდა. დიად, ხვალ ზევით უნდა აყრილიყვნენ და სამუდამოდ გამოჰსთხოვებოდნენ ამ მხარესა.

ხოლო მას მაინც კიდევ ღონე და მოთმინება შერჩა, რომ რაც იმ დღეს სასწავლებელი იყო ყველა შეესრულებინა. წერის შემდეგ, ისტორია გაგვიკვეთა, მას მერმედ პაწაწინა ბავშვებმა ჩვეულებრივად უგალობეს თავისი ბა, ბე, ბი, ბო, ბუ. იქ კიდევ, კუთხეში ხაუზერს ცხვირზედ გაეკეთებინა სათვალეები, ხელში აეღო ანბანი და ბავშვებთან ერთად ხმა მალლა იმეორებდა იმავე ბა, ბე, ბუ-ს. ეტყობოდა, რომ ისიც დიდ მეცადინეობაშია. შემოფოთებისა გამო ხმის კანკალი დამართოდა და ისე უცნაურად მოისმოდა იმისი ხმა, რომ ჩვენ ტირილიც მოგვდიოდა და სიცილიცა. ოხ, ჩემს დღეში არ დამავიწყდება, ის უკანასკნელი ჩვენის სწავლის დღე!...

უეცრად დაჰკრა საყდრის საათმა უშადღე, ამასთანავე ჩვენის ფანჯრების წინ დაიგრილა სამხედრო მუსიკის ხმამაც: პრუსიელების ჯარს გაეთავებინა თავისი სწავლა და მოდიოდა მინდვრიდამ... უფალი გამელი გაფითრებული და ფერ მიხდილი ჩამოვიდა კათედრიდამ. მე იგი თავის დღეში არ მომჩვენებია იმოდენა ტანისად, როგორც იმ ჟამად მეჩვენა, თითქო ტანი აიყარაო.

„მეგობარნო!... გვითხრა ჩვენ: „მეგობარნო.... მე... მე....“

რაღაცა მოაწვა გულზედ, რაღაცამ სული შეუხუთა და სიტყვა აღარ დაასრულებინა.

მაშინ მიუბრუნდა კედელზედ ჩამოკიდებულს საწერს ფიცარს, აიღო ხელში მელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააჭირა ფიცარს მელი და უშველებელის ასოებით ეს დაწერა:

„გაუმარჯოს საფრანგეთსა!“

ამის შემდეგ შედგა, თავი დაჰკიდა და კედელს მიეყრდნო. სხვა აღარა უთქვამს რა, სიტყვის ილაჯი აღარა ჰქონდა, მხოლოდ ხელით გვანიშნა: „ეხლა წადით!... გასაკვეთი დასრულდა!“

ჩვენის ისტორიისათვის მასალა.

(შემდეგი *)

იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ მე არჩილისა და დაიწყო ეოვლი იმერეთი, და იქმნა დიდი სიყვარული შორის მეფისა და დადიანისა. ხოლო ჟამსა მას მთავრობდა გურიანსა შინა სიმონ გიორგი გურიელის მე, და ავნახთა შორის ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძე. ჟამსა ამას მოიყვანა მეუღლედ გრიგორი დადიანმა საქართველოსა და კახთა მეფის ერეკლეს შვილის შვილი ნინა, და ამის შემდგომად წარიყვანა მეუღლე თვისი მეფემან სოლომონ მარიამ გრიგოლ დადიანის დაი, და იყო მშვიდობა და მხიარულება ამით შორის. გარდავრდნილი მეფე დავით იყო თათართა შორის ახალ-ციხეს და მოიცა მუნით ძალი და ჩამოიყვანა რამდენიმე ლეკთა და თათ ართა მხედრობა და მოვიდა იმერეთად და დასდგა ზორეთს. მცნობმან ამისმან ახალმან მეფემან სოლომონ შეიკრიბა სპანი იმერელთანი და მიმართა მათ, და ვინათვან იყვნენ მცირე მხედრობა დავითისა, ამისთვის შემოივლეს სანჯარნი და დადგენ მას შინა. და ვინათვან იხილეს სოლომონისთა სიმცირე მათი არ დარიდეს სიმაგრესა სანჯრისასა და შეუტყვეს იმერთა, მაშინ გამოვიდა სანჯრიდან სიმონ აბაშიძე ნიკოლოზის მე, რომელი ახლდა დავით მეფესა ვინათვან იყო სიძე მისი, და დაუდგა შეტყვებულსა სიმაგრესა. მაშინ მიმართა რა მებაირახემან მეფისა სოლომონისამან, გარდმოაგდო მებაირახე და წარიღო ბაირახი მეფისა და დასცა თავსა სანჯრისა მათისასა და ოდეს იხილეს ესე იმერთა უკუნიქცნენ და ივლტოდენ იმერნი და სდევდენ თათარნი და ლეკნი, და რომელნიმე შეიპყრეს, და რომელნიმე მოჰკლეს და გაემარჯვა დავითს მეფესა. წარმოვიდა მეფე დავით და მოვიდა ლომიასთხევს, და რომელნიმე იმერნი შეიკრიბნა, ხოლო სოლომონ წარვიდა საჩხერეს სასახლესა წერეთლისასა, რომელ წერეთელი ზაპუნა და ზურაბ დიდათ ერთე ულობდა სოლომონს, და ჟამსა ამას მოკვდა წერეთელი ზაპუნა. მაშინ მუნ მოუფმან სოლომონ მეფემან სთხოვა შეწევნა საქართველოსა მეფესა ირაკლის, ზაპუნა თვისსა, და ცოლის ძმასა თვისსა გრიგორი დადიანსა, და

წარმოავლინა ირაკლი მეფემან შვილის შვილი თვისი იოანე სპითა შესაწევნელად სოლომონისა, ხოლო გრიგორი დადიანი აქეთ სპითა თვისითა. მოვიდა რა საზღვარსა იმერეთისასა მეფის-მე იოანე, მიეგება სოლომონ მეფე და მოუხდენ დავითს და ქმნეს ბრძოლა დაიოტეს დავით, და აქით მოვიდა გრიგორ დადიანი დიდისა სპითა და აღიღო ქუთათისი გამაგრებული დავით მეფისაგან. მაშინ შეკრბენ სპანი საქართველოსა მეფისანი და დადიანისანი, და დაიპყრეს ეოვლი იმერეთი და მიათვალეს კვალად მეფესა სოლომონს და წარვიდენ მეფის-მე იოანე და გრიგოლ დადიანი სახლად მათად გამარჯვებულნი, ხოლო ლტოლვილმან დავითმან ვერდა იმოვნა ვისგანმე შეწევნა, და მოვიდა კვალად იმერეთად, მოწილ ექმნა სოლომონ საბატონიშვილო და სცნოვრობდა მუნ, დაეცნენ მშვიდობით რამოდენსამე ჟამსა და სცნოვრობდენ სიხარულისა კმა-ყოფილნი. გარნა ბოროტ მოჰაზრეთა კაცთა, რომელნი უთანხმოებისა გამო ჰანჯარებითა სარგებლობდენ კვალად ქმნეს აღრეულება შორის მეფისა და დადიანისა, და იქმნა განხეთქილება. ჟამსა ამას იყო დიდ შემძლე კაცი ემა დადიანისა გელოანი ქაიხოსრო, რომელი მოურაობდა ლეჩხუმს და მძლავრებდა ოდიშსაცა. ესე მიდრკა გრიგოლ დადიანის ერთ-გულებისაგან და მიიბარა ძმა გრიგორი დადიანისა მანუხარ, მოიყენა მეფე სოლომონ წერეთლისა გამო, ამისთვის რომელ ზურაბ წერეთელისა ძმის-წული ეავდა ცოლად ქაიხოსროს გელოანის ძესა და ზურაბ წერეთელი ჟამსა მას ზირველობდა სრულსა იმერეთსა ზედა. და ესე ვითართა მეთქმელებითა გარდავდეს დადიანი გრიგოლ და ქმნეს დადიანად მანუხარ, და გრიგოლ წარვიდა სამურსაყანო აფხაზეთ შორის და იყო მუნ. ჟამსა ამას მოუფმან იმერეთსა შინა მეფედ ეოფილმან დავით იმოქმედა ახალ-ციხეს და მთამოიყვანა ლეკნი და მიერთდა მათად და მოვიდენ მახლობლად ქუთათისისა. აქათ მეფემან სოლომონ შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი და განმაგრდა ქუთათის და მოიწვია შესაწევნელად დადიანი მანუხარ და მოვიდა ქუთათის ოდიშ ლეჩხუმითა სპითა, სადა ზირველობდა ქაიხოსრო გელოანი ოდიშ ლეჩხუმითა შორის. ჟამსა ამას შეკრბენ სამურსაყანო აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინათვან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ, წარმოემართნენ და დაიბანაკეს მარსილს მახლობლად ბანძისა. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ და დადიანი მანუხარ უღონო იქმნენ, აქით ლეკის სპითა დავით, ხოლო აქათ აფხაზეთა გრიგორი დადიანი. გარნა უღონო-ქმნილთა მოიპოვეს ესე წარსამართლებელი საქმე, წავიდა ლეჩხუმის ჯარითა ქაიხოსრო გელოანი და წარმოიტანა მოყვარე თვისი ქაიხოსრო წერეთელი,

*) დასაწეისი № 5-შაა.

მის-წული ზურაბ წერეთლის რამოდენიმე იმერელისა სპითა და დაესნა ღამით მარსილს აფხაზთა და გაიქცენ აფხაზნი და დიდითა ალაფითა სავსე. ვიდრემდის სცნობდა დავით მეფე დაბანაკებული მახლობელად ქუთათისა, მუნემდის მივიდა გელანი უკმო-ქცეული ქუთათის, ხოლო დადიანი გრიგოლ კვალად წარვიდა აფხაზეთს. მსმენელი ამა საქმისა დავით მოკლებულ იქნა ძალისა, ვერღა ებრძოლა ქუთათის სოლომონს და მანუხარს გამაგრებულთა, წარმოვიდა მუნით, გამოვლო იმერეთი და მივიდა მათხოჯის და დაიბანაკა მუნ. ხოლო ერთი ბელადი ლეკისა სახელით დურმამა თვისისა საბელადოთი დასდგა ზემოთ დარღვეულსა ნასაედრსა ზედა. მაშინ მიესმა ჰანბავი სოლომონს, რომელ საქართველოსა მეფესა ერეკლეს წარმოუგზავნია შვილი თვისი ალექსანდრე სპითა და არტილერითა შესაწევნელად სოლომონისა, ვინათგან ეთხოვნა ამას შეწევნა ჰანბავს თვისისათვის. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ მხიარულ იქნა, მიეგება ბიძასა თვისსა ალექსანდრეს, ერეკლეს ძესა, და შეერთდენ სპანი საქართველო, იმერეთისა, ოდიშ-ლეჩხუმისა, და მივიდენ მახლობელად მათხოჯისა და დაიბანაკეს მუნ. ხოლო დავითმან სიმციროსა გამო შემოივლო სანჯარი და განმაგრდა მას შინა, მოვიდა დავითთანა გრიგორი დადიანი და გრიგორ წარვიდა აფხაზეთს ქელაიშ-აჰმედ-ბეგისათანა, რათა მუნით მოიცეს ძალი და დავით იყო მათხოჯს გამაგრებული. ხოლო სოლომონ მეფე, და დადიანი მანუხარ, და ალექსანდრე საქართველოს მეფის ძე იდგნენ ნახა-ხულევეს რაოდენსამე ჟამსა. ხოლო დადიანი გრიგოლ მისრული ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა თანა მთხოველსა მისცა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან შეწევნა და წარმოევა აფხაზთ სპითა და მოვიდენ სიბუღს და დასდგენ მუნ. გარნა აქათ მისცეს თეთრი რამოდენიმე ზემოთ ხსენებულს დურმამა ბელადს და განუდგა დავითს და დანაშთოძითა ლეკთა შემოადგენ ზემოხსენებულთა სპითა, მეფე სოლომონ. დადიანი მანუხარ და ლეკნი სანჯარიდ-გამო იბრძოდენ ძლიერად, და სიმონ აბაშიძე ეოველს ჟამს ქებული მამაცობასა შინა იბრძოდა გარეთ სანჯარისა მხილველთა გასა-ცვიფრებლად, და მას-თანა ლეკი ერთი სახელოვანი სახელად ამირხან. გარნა ვერ დაუდგა სიმცირე სიმრავლესა და ივლტოდენ დავით და მსლენი მისნი ლეკნი, და წარმოვიდენ ოდიშით და მოვიდენ სიბუღას, სად იევნენ დაბანაკებულნი ქელემ-ბეგი და გრიგორი დადიანი. მხილველი ამისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგი შეშინდა და უკუნ-იქცა კვალად აფხაზეთად, და დავით, და გრიგორ დადიანი წარვიდენ ფოთს. გრიგორი თვისის მეუღლით დასდგა ფოთს, ხოლო დავით წარვიდა თვისის მსლე ლეკითა ახალ-ციხეს, და მცირის

სანისა შემდგომად დავით გარდაიცვალა ახალ-ციხეს ევაილისა სენითა. ხოლო გრიგორი დადიანი რაოდენისამე ჟამისა შემდგომად ვერღა დასდგა ფოთს და მეუღლე თვისი წარმოეგზავნა ოდიშად და მიაბარა მძასა თვისსა ჭეონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს და თვით წარვიდა ახალ-ციხეს. ხოლო ოდიშს იყო ციხე ჭაქვიითისა გამაგრებული მხეიძის ჰეტრე ბეჟანის მისაგან, და ლეჩხუმს მური გასვიანი ხოსიანაგანი, და ერთ-გულეობა ბიძა თვისი გიორგი გრიგოლ დადიანსა, ვინათგან ზრდიდა შვილსა მისსა ლეონს, ბიძა თვისი გიორგი. და ამათ გარდა დაიშურა ეოველი სამეგრელო სამთავრო მანუხარ დადიანმა და მთავრობდა. ჟამსა ამას გარდაიცვალა გურიელი სიმონ და იქნა გურიელად ძე მისი მცირე-წლოვანი მამია. გარნა მოურნეობდა დედა მისი და დავით ზემო თ ხსენებულისა ზურაბ წერეთლისა მარინა, და ბიძა თვისი ქაიხოსრო გურიელის ძე. მაშინ შეიშურა ბიძამან მისმან ვახტანგ გურიელის ძემან და მიბირებითა მეფისათა მიუღო მამიას გურიელობა, და ესრეთ მეფისა გამო ხან იგი მიუღებდა გურიელობას და ხან იგი, გარნა შემდგომად დამთა მამიას და მთავრობს აწმუოსა ჟამსაცა. გარნა ჟამსა ამას დიდათ ეკირთებოდენ თათარნი გურიასა და აწუხებდენ მოხდომითა, კაცის კვლითა და წარუვანითა ტყვეთათა, კინლა და ეოველი გურია აღიხოცა, რომელნიმე თათართა მიეავდა და რომელნიმე განიბინენ იმერეთად თუ ოდიშად. თუცა გურულნი მამაცად და მხნედ ბრძოდენ მრავალსა ხოცდენ და შეიპრობდენ და ამარცხებდენ, გარნა სიმრავლისა-გამო თათართა ვერ-ეკმავენ გურულნი. ხოლო ახალ-ციხეს მოემან გრიგოლ დადიანმა ვერა რაიმე ჰმოვა შეწევნა, და მუნით წარვიდა საქართველოდ ერეკლე მეფისა თანა, და სიმამრისა თვისისა მეფის მის გიორგისათანა, გარნა ვერ მიიღო ვერცა მუნით თვისის საწადისა კმა-ყოფა და წარმოატანა მეფემან ერეკლემ შვილი თვისი ალექსანდრე, და შვილის შვილი თვისი იოანე რათა იხრუნოს მეფემან იმერეთისამან სოლომონ თხოვისათვის ჰანბავსა და ქმნეს მშვიდობა გრიგორისა და მანუხარისა შორის და მოვიდენ ქუთათის. გარნა ვერა რაისა საქმისა გარდამწვეტელნი მეფის ძენი წარვიდენ ქართლს, და გრიგოლ დადიანი ცოლმშვილითა თვისითა იყო მეფისა თანა იმერეთს და იზრდებოდა და არა სწადიოდა მეფესა მთავრობა გრიგოლისა არამედ მანუხარისა, და მრავლისა თხოვნისა და ხვეწნისა შემდგომად სცნა რა ჭეშმარიტი გრიგორიმ, რომელ მეფე სოლომონ არა მართლიად ზრანავს მას და უმეტეს მეცადინობს დაბრკოლებასა, ამისთვის ეზრანა ბიძასა თვისსა გიორგი დადიანის ძესა, რათა მან გარდმოიბიროს გრიგოლის ერთ-გულეობისადმი ქაიხოსრო გელანის. ამისათვის

იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბარა გელოანი ქაიხოსრო, და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს. წარმოვიდა ღამით მალვით გრიგორი ქუთათისით და მოვიდა ნოჯიხევს ბიძისა თვისისა გიორგისათანა, წარმოუძღვა ბიძა თვისი და მოვიდენ ციხესა ზედა გიორგი დადიანის ძისასა ნოღას და იმოფებოდენ მუნ. ხოლო მეუღლე გრიგორ დადიანისა საქართველოს მეფის ასული ნინა წარიუვანეს ღამით მალვით და მიიუვანეს ლეჩხუმს. მოეგება ქაიხოსრო გელოანი და უოველნი ლეჩხუმნი და მისცეს ზირი ერთ-გულებისა ქრმისა თვისისა გრიგორ დადიანისა. ხოლო გრიგორ დადიანმა ბიძისა თვისისა გიორგის ციხეს ნოღას მოუფიქრა შემოიკრიბა სზანი იმერეთისანი, მიეგება მანუხარ, გრიგორ დადიანის ძმა სზითა ოდიშისათა, წარმოემეზ საზრუნ და მოვიდენ ნოღას და დაებარგენ ლეკერცამეს გაღმით ციხისა, მაგრამ რადგანაც გრიგორ დადიანი და გიორგი ბიძა მისი იდგენ მამაცად და მხნედ და დამარცხეს წასრულნი ჯარნი მეფისანი იქით აქათ გრიგორის და გიორგისთა. ამისთვის ვეღარ შეძართა მეფემან და მოიგონა ესე არა მსგავსიერი საქმე: იწყო ლაშარაკი გრიგორისთანა და ბიძისა მისისათანა, მოღით ჩამთანა ქუთათის და იქ მიითვალე დადიანობა. ამა აზრსა ზედა ნება-სცა გრიგორიმ დადიანმა, და განიზრანა მეფემან ოდეს მოვალს ქუთათის ჩემთანა გრიგორ მოველავ და ბიძასა მისსა და ანუ შევიპრობ, და ამა ჰაზრითა წარვიდა მეფე ქუთათის. თუძცადა იცოდენ გრიგორმა და ბიძამან მისმან, რომელ ცბიერებს მეფე და მიუავს ღალატისათვის, გარნა იმამაცეს გული და შემდგომად რამოდენისამე დღისა წარვიდენ ესენიცა და მივიდენ ბანძას. მუნითგან წარგზავნეს კაცი და ითხოვეს მომეგებლად მიტროპოლიტი ორნი ქუთათელი დოხოთეოს წერეთელი, გენათელი ეფთვიმი გურიის ერისთვისძე, ამასთან სახლთ-უხუცესი წერეთელი ზურაბ, და წულუკიძე გიორგი. მოვიდენ ესენი ბანძას, წარუძღვენ დადიანსა და მივიდენ ქუთათის სასახლესა შინა ქუთათლისასა, და ვინათგან გრძნობილ-იყო მათგან ღალატი მეფისა, გრიგორ დადიანი აღარ მთავიდა სასახლესა მეფისასა, და ბიძა მისი გიორგი მთავიდა მეფისათანა სასახუბროთ, და სცნა ჭეშმარიტებით რომელ გამსადგებულ-არს მეფე ღალატად და ნახა დამდგარნი კაცნი. მაშინ წარმოვიდა და მოვიდა გრიგორისათანა, უთხრა ცხადათ მეფისაგან ღალატი. მაშინ მსწრაფლ აღმხედრდა და წარმოვიდენ და წარმოჰვეენ ზემო თქმულნი მიტროპოლიტები და თავადნი იმერელთანი, და მეფემან ვერლა შეძართა ღალატსა და დაუტევეს განბასრებული და დადიანი მოვიდა ხუნწს, და იმერთა მღვდელ-მთავარნი და

თავადნი განუტევეს დიდითა მადლობითა და წარვიდენ. შემდგომად ამისა წარვიდა გრიგორი დადიანი ლეჩხუმად, მუნ მისვლასათანა მოეგება ლეჩხუმის მოურავი გელოანი ქაიხოსრო და სრულიად ლეჩხუმი, მისცეს ფიცი დადიანსა ერთ-გულებისა და ციხენი ეოვენი და დაიპერა დადიანმა სრულიად ლეჩხუმი. მეფე ვერა-რანისა თვისის განზრანვისა აღსრულებულმან, წარმოვიდა და მოვიდა ოჯალას, და დაიწყო საუბარი დადიანისადმი მშვიდობისა, ექიდამ წარვიდა ბიძა დადიანისა გიორგი და გელოანი ქაიხოსრო და ქმნეს დადიანისა და მეფისა შორის მშვიდობა და წარვიდა მეფე კვალად ქუთათის. ხოლო დადიანის ძე გიორგი, ბიძა დადიანისა შეიქმნა ავით ქამსა ამას დღორისას, მოიუვანეს გიორგი ზოგოშს და გარდაიცვალა მუნ წელს ქრისტესის 1799, დეკემბერსა 15. მცნობი ამისი დადიანი გრიგოლ დიდთ მწუხარე იქმნა ვინათგან მოუკვდა საქმისა თვისისა გამეგებელი ბიძა, წარმოიღო დიდის ჰატივით და მოასვენა სამარხოსა მამა ზაზათა თვისთა და დამარხა მარტვილს შესაფერთა ჰატივითა. ხოლო დადიანმა მომიტკიცა ეოველი ოდიშარი და იქმნა დადიანად და მძასა მისსა მანუხარს უბოძა სალიპარტიანო და მუნ იზრდებოდა, გარდა ერთმან-ერთთანა არა მოვიდოდენ და არცა იხილვიდენ ურთი-ერთთა, ვინათგან იყო შური დიდი შორის მათსა მეფისა მიერ დათესილი. ჯამ რაოდენიმე ფლობდა გრიგორი სამთავროსა თვისსა ნებასა თვისსა ზედა, ნა მძლავრებდა ეოველს ოდიშ ლეჩხუმსა კვალად გელოანი ქაიხოსრო. ამისთვის ვერა მომთმენელმან გელოანის ქაიხოსროს საქციელისაგან გრიგორი დადიანმა გელოანი ქაიხოსრო გორდს, და უმეტესად შემომიტკიცა გრიგორი დადიანმა ოდიშ ლეჩხუმი, და ეოველი მიმდგომი ქაიხოსრო გელოანისა დაამდაბლა: იუვენე ქამ რაოდენიმე სიევარულსა ზედა მეფე სოლომონ და დადიანი გრიგორი. გარნა მეფემან არა დაუტევა თვისი განზრანვა და სწადოდა თვისად დაპრობა ოდიშ ლეჩხუმისა, ამისთვის კვალად მიიბირა ძმა გრიგორ დადიანისა მანუხარ და წარმოემართა გრიგორსა ზედა სზითა მრავლითა იმერელ ლეკითა, და გარდავლო გრიგორი და ქმნა დადიანად მანუხარ.

(შემდგევი იქნება).

გაზეთებილამ ამოკრეფილი აგზები

— სახელმწიფო საბჭოს კადრწვევები საქმე თავნხედ. სარგებლის აღების თაობაზედ. ამბობენ, კანონად დაუდგია, რომ სარგებლის რაოდენობა სესხის მიცემის

და სესხის ამღების ნებაზედ იქმნება დამოკიდებულია.

– რუსეთში მედიტაზოლის მანქანაში განუზრახავთ იმისთანავე ამხანაგობა გამართონ ზურის შენახვის და სესხის შესახებ, როგორც ფულის შესახებ სოფლის ბანკებია. ამ ამხანაგობისათვის უწოდებიათ: „არსებითი საჭიროება“. საგანი ამ ამხანაგობისა ის არის, რომ თვისთა წევრთ მოუპოვონ გაჭირების დროს ზური იაფად და ადვილად. წესდებულება შეუდგენიათ, ორმოცს კაცს ხელი მოუწერია და წარუდგენიათ ფინანსთ მინისტრისათვის დასამტკიცებლად.

– ევროპის უმთავრესთა ქალაქთა შორის აი რამდენი სული იხრცება თურმე რიცხვთა შუა ანგარიშით ერთს თვეში ათას სულზედ: ლონდონში – 24 1/4; ვენიზუელაში – 18 3/4; კლავოში – 25 1/4; დუბლინი – 26, ჰარნიში – 29, რომში – 29, ვენაში – 26 ბრიუსელში – 21, ბერლინი – 25, გამბურგში – 23, ამსტერდამში – 28, ქრისტინიში – 22, ბრესლაში – 28, ფემტში – 38, ტურინში – 24, კაპენგაგენში – 23, მიუნხენში – 34, ნეაპოლში – 30.

– ვიტებსკში შემდგარა „სოფლის მეურნეობა საზოგადოება“. ამ საზოგადოების საგანი ის არის, რომ მეურნეობი ერთმანეთს დაუახლოვოს, მოუძარტოს ხელი და წარმატებას მიჰსცეს ადგილობრივი მიწათმოქმედობის წარმოება, გადავიღოს მიწის მოსავლის განსაღება და მუშა ხალხის მოპოება. წესდებულება ამ საზოგადოებისა დაუმტკიცებია კიდევ სახელმწიფო ქონებათა მინისტრსა.

– ოდესაში ქალაქის გამკობას ახალი ხარჯი შემოუღია ქალაქის მცხოვრებთათვისა. ეგ ხარჯი განსაზღვრულია სახლის ქირაობის ფასის კვალობაზედ, და ედებათ მხოლოდ სახლის ქირით დამტკიცრთა.

– შვიდს მარტსა სახელოვანის გარბაღდის დაბადების დღე იყო. ამისგამო ოდესაში ამ დღეს დიდი ნადიმი გაუმართავთ ოდესაში მცხოვრებთ იტალიელთა და ეგ დღე უდღესასწაულნიათ. მეთაური ნადიმობისა ეოფილა იტალიის დესჰანი (კონსული) კასტელიო. წვეულება ჰქონიათ ერთს სასტუმროში, რომელსაც ჰქვიათ „ჩრდილოეთის სასტუმრო“ (Сѣверная гостинница). ზალა მდიდრულად მორთული ეოფილა მრავალის ევაუილებითა, რუსისა და იტალიის ხალხის დრომებითა. კედლებზედ ამართული ეოფილა ხელმწიფე იმპერატორის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძის სახე, ღენერალის გარბაღდისა, იტალიის მინისტრის კაურისა, იტალიის გამოხენილის მამულის შვილის მამძინისა და სხვათა. მრავალი სიტუვა წარმოითქვა თურმე, მრავალი სადღეგ რძელო დაიღია. გარბაღდისათვის მისალოცავი ტელეგ რამმა გაუგ ზავნიათ.

– 1846 წლიდან დაწობილი 1870 წლამდე საქართველოში დოღები ეო განწესებული მარბენალთა ცხენთა საცდელად და ჯიშის განსაკარგებლად. 1870 წ. ადგილობრივმა მთავრობამ მოსხო საქართველოში დოღები, რადგანაც აქაური ცხენების ავ-კარგანობას მაგ დოღების დაწესებით არა დაეტო რა. ესლა აქაურს უმაღლეს მთავრობას გადაუწვევტია, რომ დოღები კვლავ იქმნან საქართველოშიაო. ამ 1877 წელს იქმნება დანიშნული დოღი. დრო და ადგილი დოღისა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

– ბზიბის (აფხაზეთშია) ტეის თაობაზედ ვიდაც ო. ა. ფონ-ლიზნორტსა წინადადება შეუდგენია და წარუდგენია ერთს საზოგადოებისათვის რუსეთში, რომელსაც ჰქვიათ „Общество для содѣйствія русскому торговому мореходству“. ფონ-ლიზნორტი ამბობს თურმე, რომ ბზიბის ტეე 60,000 დღიურია, მშვენიერი რამ არისო, დღევანდლამდე უქმად დღესო და საზინას არაფერს სარგებელს არ ამღევსო, მაშინ როდესაცა მაგ ტეეს შეუძლიან ათი ათასი თუმანი შემოუტანოს საზინასაო, თუ კი საზინა ფონ-ლიზნორტისაგან შეტანილს წინადადებაზედ დადგებაო. ეგ საზოგადოება გარდა იმისა რომ ტეეს გაიტანს სამხედვართ გარედ, თავის ხომადღებსაც გამართავსო შავის ზღვის ზირზედ ვაჭრობის სასუფელადაო. რომ ამ საზოგადოებამ თავისი დანიშნულება აღასრულოს, ლიზნორტის სიტუვით, ექვსი მილიონია საჭირო, თუ მთავრობა ათს თუმანზედ ხუთს მანეთს სარგებელს აღუთქვამსო ფულის ზატრონთაო.

ეს წინადადება ფონ-ლიზნორტისა „Общество для содѣйствія русскому торговому мореходства“-სა ეურადღების ღირსად უცვნია და გადაუწვევტია რომ ფონ-ლიზნორტის წინად ადება წარუდგინონ დიდს მთავარს, კავკასიის მთავარ-მმართველსა.

– მას შემდგე რაკი 17 აპრილის 1874 წელს

ახალის ღერბის ფული დაწესდა ზოგიერთი ნაქმევთა გლეხთა საქმის სასამართლონი (учереждения по крестьянским дѣламъ) არსებს და საჩივრებს უბრუნებდნენ მოჩივართ თუ ორ ანაზიანი მარკა არ ჰქონდა ქაღალდს. ესლა კი, გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს აუსხნია, რომ მავ სასამართლოებში საქმის წარმოება სრულად თავისუფლად უნდა იქმნასო ღერბის ფულისაგანაო.

— ინგლისის გაზეთში იწერებინან, რომ ამ ცოტანს ხანში აუქციონით გაიყიდაო ერთი მუხის ხის სელი (кресло), რომელსედაც თურმე ვილლიამ შექსპირი იჯდა, როცა თავის სახელოვანს დრამებს ჰსწერდა. თვითონ სელი უბრალო რამ არისო, მაგრამ აუარბეელი ხალხი მოაწუდა სასეიდლათაო და გაეიდულა ოცდა შვიდ თუმნათ. აქავ გაეიდულა ერთი ძველად ნაბეჭდი თხზულება შექსპირისა ასს თუმნად.

რედაქციისაგან

ზოგჯერ მოგვდის ხოლმე წერილები, ლექსები და სხვა და სხვა კორრესპონდენციები და დამწერნი გვთხოვენ ცალკე ბარათით ვაცნობოთ დაუბეჭდავთ თუ არა გამოვ საზენილთა წერილთა და სხვ. რადგანაც ამ ბარათების წერას დრო უნდა და ამას გარდა არც რაიმე სასარგებლო შედეგი მოჰსდევს, ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ ზასუსი შეუთვალათ ჩვენის გაზეთის ზირით იმ მწერალთა, რომელთ ნაწერსაც ვერ დაუბეჭდავთ. ზირველს შემთხვევაში ჩვენს ზასუსს ვუგ საზენით შემდეგ ვვამთა:

- 1) „ქუთათურს“ — თქვენი წერილი „ივერიაში“ არ დაიბეჭდება. მავ ვვარს უთავ-ბოლო და გამოუსადეგ არს საგანს, რომელსაც თქვენ გვაუწუებთ, „ივერიაში“ ადგილი არ ექმნება არას დროს. „ივერია“ კერძო ზირის წადილს არ ემსახურება.
- 2) მღვდელს ს. ბ — ს. — თქვენის თხზულების დაბეჭვდის ზირობას ვერ ვადღევთ, იმიტომ რომ თვითონ თხზულება არ გამოვიგ საზენით. თუმცა

დაგვისახელეთ ის გვამი, რომელსაც, თქვენის სიტყვით, ის თხზულება უნდა გამოეთხოვოთ, მაგრამ არც დრო გვაქვს უკან დევნისათვის და არც ცნობა თქვენგან დასახლებულის გვამისა.

3) „უფ. მოვლუჯილამეს“. — თქვენი წერილი და ეგრედ უსაბუთოდ ლაზარაკი ზოგიერთის აუ-ხნეობაზედ, იქნება ზოგიერთისათვის გამოსადევი იეოს და არა „ივერიისთვის“. თუ აღამიანს ჰკიცნავთ, მისი საბუთი, საქმე და ნამოქმედარი გვაუწუეთ. სხვა ვვარ განკიცნვა, ჩვენის ფიქრით ლანძღვაა და ლანძღვას ჩვენს გაზეთში ადგილი არა აქვს.

4) „კონსტანტინე გეგიაძეს“. — თქვენის წერილით ნაუწუი ამბავი არ „ახალია ძველია“. თვალი დააკვირვეთ თქვენს გარემოცო ცხოვრების მიმდინარეობას და რაც ახალი შესანიშნავი რამ ნახოთ ეველასათვის დირს-საცნობი, ის გვაუწუეთ: სიხარულით დაუბეჭდავთ.

5) თ. ი. ე — ს. — თქვენი ლექსი ვერ ვავარჩიეთ, რადგანაც ცუდის ხელით არის გადაწერილი და რაც კი ვავარჩიეთ ვცანით რომ უღამობელს ბედს თქვენთვის ზოეზიამი ადგილი არ მოუხომავს.

6) ი. ჯ. — ს. — თქვენი წერილი უსარგებლოდ დიდია. ხალხის ზატივის დაცვა დიდი საქმეა, მაგრამ თვითონხალხის ზატივიც ისე დიდია, რომ იგი იმით არც ამადღდება, რასაც თქვენ გვაუწუებთ. თქვენ მარტო ამ წერილით არ გიცნობთ: თქვენი მწერლობითი ღვაწლი ცნობილი გვაქვს. ზასუსზედ არ დაგვკმდუროთ დ თქვენი შრომა ამის გამო არ მოგვაკლოთ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისში, ყველა წიგნის მალაზიებში ისყიდება:
ბოზია მერანაშვილი, ლეგენდა თ. აკაკი წერეთლისა. ფასი ერთი შაური.
დავრიზიანი, ანუ ზღაპრული მოთხრობა, გამოცემა პირველი. ფასი შვიდი შაური.

Дозволено цензурою. Тифлис, 7 Апреля 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭავაძე**
 სარედაქციო № 2030: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი, მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**
პროექტი: ივანია — ნანსულაი ლაზარაძე — მომავლის მალაზიანა
 პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, — განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს
მომომავალი შპს „საგამომავლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174
 მისამართი: გ. ლეონიძის 11ს; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com